ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 154
07/12/2018

154-07-2-201812071618

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის ანგარიშს:

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია 5 განცხადება, ყველა მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. საჯარო ინფორმაციაში შესწორების თაობაზე მოთხოვნა აღნიშნულ პერიოდში არ დაფიქსირებულა.

ონის მინიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. საჯარო ინფორმაციის გაცემის ყველა მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში და წესით. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო ჯმუხაძე. საკრებულოს სხდომების დახურვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებული გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანანამშრომლების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევასა და მათთვის დისციპლინარული სახდელის დადების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

ჯაფარიძე შუქურა

საკრებულოს თავმჯდომარე
ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ. ონი დავით აღმაშენებლის მოედანი N1 ტელ. 595 98 05 47
e-mail: onis.mun@gmail.com; onissakrebulo@gmail.com